№ 88

სამშაბათი, 23 აპრილი 1896

1877–1896

# ივერია

№ 88

სამშაბათი, 23 აპრილი 1896

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 25 აპრილს.**


## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ

იქმნება გამართული 28 აპრილს.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის,

შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ (სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის შენობაში, და **კნ. ოლგა თადეოზის ასულს**

ჭავჭავაძისას.

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი. № 21).


«ივერიის» რედაქციისაგან

მოვაგონებთ ჩვენს ხელის მომწერლებს, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ ვისაც ხუთი მანეთი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, პირველს მაისამდე კიდევ უნდა წარმოადგინოს ფული, თუ სულ არა, რამდენიმე მაინც.


**კაბინეტი კბილის ექიმთა**

**ვ. ი. პიჩინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79. ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.



ქართული თეატრი

სამშაბათს, 23 აპრილს

ქართულ დრამატიულ არტისტების ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება

I

ჯერ დაიხოცნენ,

მერე დაქორწილდნენ

კომედ. 2 მოქ. თავ. რ. ერისთავისა

II

**ბიძიასთან გამოხუმრება**

კომედ. 1 მოქ.

III

ბ.ბ. გრ. აბაშიძისა და არაქსიანის მონაწილეობით

**დივერტისმენტი**

დასასრულ

**ლეკური**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. საფაროვისა, ჩერქეზიშვილისა, არლანი; ბ.ბ. გედევანოვი, გუნია, კანდელაკი, ადამიძე, ნებიერიძე, კარბელი და სხვანი.


4 მაისს დანიშნულია **წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის** საზოგადო კრება. რადგან პირველი კრება 24 თებერვალს არ შესდგა წევრების კანონიერი რიცხვის გამოუცხადებლობისა გამო, ამიტომ 4 მაისისათვის დანიშნული კრება, თანახმად ამხანაგობის პირობის 15 მუხ., ჩაირიცხება კანონიერად, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

На 4-ое Мая назначено общее собраніе членовъ Кут. Изд. Товарищества. Такъ, какъ первое собраніе, назначенное на 24-ое число прошлаго Февраля не состоялось, по не явкѣ достаточнаго числа членовъ, то Майское собраніе будетъ признано законнымъ, сколько бы ни явилось членовъ, согласно 15 ст. договора Товарищества.

(3—6.—1)

## შემოწირულება

,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების'' სასარგებლოდ 28 აპრილისათვის დანიშნულ ლატარიაალეგრისათვის შემოსწირეს:

ალექსანდრა გიორგის ასულმა ყანჩაველისამ ერთი თოფი აბრეშუმის ჯეჯიმი, 7 აბრეშუმის ხელსახოცი, ოთხი მოვი; კნ. მარიამ ნიკოლოზის ასულმა ჯამბაკურიან-ორბელიანისამ ნახევარ დუჟინი ფინჯნები; თავადმა გიორგი ვახტანგის ძემ გურამიშვილმა ერთი სარძევე, და ნახევარ დუჟინი ყავის ფინჯნები; ეკატირინე და სოფიო ჩიკვაიძისამ ერთი ბლუდი, თეფშები და ნაკერი ბალიში; ხატიევისამ ერთი ყვავილების გიდელა და თაიგული ხელოვნურ ყვავილებისა. სამკითხველოში მოგროვილი: 3 ყუთი, 2 ჭიქა, 2 ფინჯანი ლამბაქით, 2 ვაზა, 1 კალათა, 2 ჩანთა, 1 საკარაქე და 1 ჩარჩო.

## ახალი ამბავი

—

*** „პრავიტ. ვესტ.“ გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება კავკასიის სამკურნალო წყლების მმართველობის შესახებ. მმართველობა წყლებისა ემორჩილება სახელმწიფო ქონებათა და სამიწათ-მოქმედო სამინისტროს სამთო დეპარტამენტს. მმართველობა ჩაბარდება დირექტორს, რომელსაც აარჩევს სამიწათ-მოქმედო სამინისტრო შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით. დირექტორი უმაღლესად დამტკიცდება და უმაღლესისავე ბრძანებით იქნება დათხოვნილი სამსახურიდამ. სამმართველოს ექმნება სამკურნალო-სატეხნიკო განყოფილება. წყლების მოსაწყობად ხაზინა მისცემს წელიწადში 71.720 მანეთს.

*** ტფილისის ქალაქის საბჭოს კომისიამ დაადგინა წმ. დავითგვირგვინების დღესასწაულობის დროს ქალაქის სასწავლებლების მოწაფეებს წვეულობა გაუმართონ და აგრეთვე ჯარის-კაცებს საჭანელები (,,ნოვ. ობ.")

*** „სავაჭრო-სამრეწ. გაზეთი'' სწერს, რომ რუსეთის ვაჭრებმა საჰირო თანხა შეადგინეს და შუამდგომლობენ, რომ სხვა-და-სხვა ტიპის საკომერციო სასწავლებელი გახსნან კიევსა, ხარკოვსა, სიმბირსკსა, მოსკოვსა, იაროსლავსა, ყაზანსა, ტფილისსა და სხვა ქალაქებშიო.

*** დაბა დილიჯანი (განჯის გუბერნია): გარს შემოზღუდული ფიჭვნარი ტყით, პატარა ჰალაკებით, ანკარა მდინარეებით, სუფთა წყაროებითა და საუცხოვო ჰაერით დ. დილიჯანი კავკასიის სხვა ადგილებს შორის ერთ მშვენიერ სააგარაკო ადგილად უნდა ჩაითვალოს.

მართლაც და ხალხმა შეიგნო აქაური ჰავის სარგებლობა და ყოველ წლობით მოაგარაკენი ემატებიან: მოდიან ბაქოდამ, ტფილისიდამ, ერევნიდამა და სხვა ადგილებიდამ. ამ გარემოებით სარგებლობენ აქაური სახლების პატრონები და სახლებს ქირას მეტად დიდს ადებენ: ორი ოთახი სამზარეულოთი ზაფხულობით 180—200 მანეთამდე ღირს.

არც სანოვაგეა იაფი. კვერცხი—ორი ერთი შაურია, გირვანქა ერბო 40—50 კაპ., რძე ბოთლი—ორი შაური და სხვაც ყველაფერი შედარებით ძვირად იყიდება.

კარგი იქნებოდა ხორცისა და პურის ტაქსა მაინც დაეწესებინათ; ამითი მაინც ასცილდებოდათ გარდამეტებული ხარჯი ზოგიერთს ხელმოკლე ადგილობრივს მცხოვრებს.

*** ფოთი: ამ დღეებში აქეთ ორი სამწუხარო ამბავი მოხდა: პალიასტომში დაირჩვა ოთხი მეტივე; ორი მათგანი ცოლშვილიანი ყოფილა და ორიც უცოლშვილო. ოთხივეს გურულებს ასახელებენ. მიზეზი მათის დაღუპვისა ჯერ ვერ გამოუკვლევიათ. ცარიელი ტივები წყალმა ფოთში ჩამოიტანა. ერთის გვამი უკვე მეთევზეებმა იპოვეს, რომელსაც კბილები და ხელები ჩამტვრეული აქვს. მეორე უბედურება ის არის, რომ ცეცხლმა ახალგაზდა 14 წლის ქალიშვილი ა. ბურჭულაძისა იმსხვერპლა. საცოდავს თურმე ცეცხლი ტანისამოსზედ წაჰკიდებოდა, ეფიქრნა გარეთ გავალ, თორემ ჩემ სახლსაც და მეზობლებსაც გადავბუგავო და გადმოსვლისას გაძლიერებულმა ქარმა, რომელიც საშინლად ჰქროდა, ცეცხლი უფრო მეტად გააღუა; დროზედ მშველელი არ გაუჩნდა და ძლიერ დაშავდა, ასე რომ მეორე დღესვე გარდაიცვალა.

**ტფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება.**

21 აპრილი.

სხდომა გაიხსნა 11 საათზე და 10 წამზე.

თავმჯდ. კრებისა დ. ივ. მუსხელაშვილი. რადგანაც, ცხადია, წევრთა საკმაო რიცხვი გამოცხადდა დღეს, სხდომას ვიწყებ.

დ. კეზელი. 1893 წელს, თანახმად საზოგადო კრების გარდაწყვეტილებისა, მოწვეული იყო, ეგრედ წოდებული „სეკრეტარიადი“. ეს ზომა გამოიწვია იმ ეჭვმა, რომელმაც საზოგადოებაში ფეხი გაიდგა და რომელიც ამტკიცებდა, რომ გაზეთის თანამშრომელნი მართლად არა სწერენ ჭეშმარიტს ვითარებას საქმეთაო. ასეთმა ღონისძიებამ მოიტანა კეთილი შედეგი—ნაწერები სხდომების შესახებ სწორი იყო ხოლმე. ამისათვის ეხლაც სასურველია, რომ „სეკრეტარიადი“ იქმნას მოწვეული; ეს ეღირება, მგონი, 300 მანეთი, თუ ცოტა მეტი. მით უფრო სავალდებულოა ეს ჩვენთვის, რომ ზემოხსენებულ კრების გარდაწყვეტილება ჯერ ძალაშია, გაუქმება მისი კრებას არ დაუდგენია და მაშასადამე უნდა მას ვექვემდებაროთ. თუ ეს მაინცა და მაინც არ ინებეს, მაშინ ვითხოვ, ან დაარსდეს რედაქციული კომიტეტი, რომელმაც ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელთა ნაწერები დასტამბვამდის განიხილოს, ანუ თანამშრომელნი აიძულონ თავიანთი ნაწერები განსახილველად თვით კრების თავმჯდომარეს წარუდგინონ ხოლმე.

ვ. რცხილაძე. მე ვითხოვ, რომ ბ. თავმჯდომარემ თვით დაადგინოს ხოლმე კითხვა, თუ რის შესახებ ვიქონიოთ სჯა, თორემ ასე „უპროგრამოთ“ თუ თვითეულმა თვისი სარჩიელი და განცხადება შემოიტანა კრების განსასჯელად, ეს სრულებით უკანონო და შეუძლებელი იქნება.

თავმჯდ. მე ნება მაქვს მივიღო ყოველი წინადადება წევრისა და ვიქონიო მსჯელობა იმის შესახებ; ეს ჩემს უფლებას შეადგენს და ამას არვის არ დაუთმობ... ბატონებო, კეზელი თხოულობს „სეკრეტარიადის“ მოწვევას და თუ ეს არ მოხერხდა—მაშინ გაზეთთა თანამშრომელთა ვთხოვოთ რედაქციულს კომიტეტისაგან გასინჯულსა ჰბეჭდნენ. თანახმა ხართ, თუ არა?

თ. გლ. მიქელაძე. კეზელის სურვილიც და თქვენიც...

თავმჯდომარე. რა ჩემი სურვილი? გთხოვთ მე ნუ მეხებით.

თ. გლ. მიქელაძე. უკაცრავად, უკაცრავად... ბ. კეზელის სურვილი, თქვენმიერ სახე მიცემული, შეიძლება საგულისხმო იყოს, მაგრამ არავითარი საშუალება, არც უფლება არა გვაქვს დავაკმაყოფილოთ იგი, რადგანაც გაზეთი კერძო კუთვნილება არის და რაცა ჰსურთ და რაზედაც კანონი ნებას დართავს —დასტამბავს და საზოგადო კრებას არავითარი, სრულიად არავითარი ნება არა აქვს რომელსამე რედაქციას კიდევ თავისი რედაქციული კომიტეტი დაუნიშნოს. რომ კიდევაც საზოგადო კრებამ მოინდომოს ამგვარის ღონისძიების მიღება და ნება ჰქონდეს, თქვენ, როგორც ხელმძღვანელი, არ უნდა დაეთანხმოთ მისს ასეთს მოთხოვნილებას.

თავმჯდ. მე უმორჩილესადა გთხოვთ დარიგებას ნუ მაძლევთ იმის შესახებ, თუ რა და როგორ უნდა მოვიქმედო; თუმცა წინ-და-წინვე გაუწყებთ რომ თქვენის აზრის სრული თანახმა ვარ.

თ. ნ. ჩოლოყაშვილი. მე მისი საწინააღმდეგო არა მაქვს, თუ საზოგადო კრება ინებებს და ან „სეკრეტარიადს“ მოიწვევს და ანუ სარედაქციო კომიტეტს დააარსებს; მაგრამ ეს არც კანონიერია და არც ღირსეული, რადგანაც არავითარი საბუთი არა გვაქვს ეჭვის თვალით შევხედოთ გაზეთების თანამშრომელთ და მათს კალმის ნაწარმოებს.

თავმჯდ. მაშ საფრანგეთში რომ მრავალი ჟურნალ-გაზეთთა თანამშრომელნი მისცეს პასუხის გებაში, არც იმათთვის უნდა შეეხედნათ ეჭვის თვალით?

თ. ნ. ჩოლოყაშვილი. რა? როგორ? არ მესმის! მაპატიეთ, ბ. თავმჯდომარევ, და თქვენ, როგორც გატყობთ, ეგ იმისათვის ბრძანეთ, რომ სიცილი გამოიწვიოთ.

დ. კეზელი (თავმჯდომარის საპასუხოთ). ჩვენს უფლებას შეადგენს—მივსცემთ ნებას თუ არა ჩვენდა განუხილველად სწერონ. მე სრულებით ეჭვი არავისზე არ შემიტანია, მაგრამ მე მაინც საუმჯობესოთა ვსთვლი, რომ მოვიწვიოთ გარეშენი და მათ მივანდოთ საგაზეთო ანგარიშების წერა.

თ. გლ. გაჩნაძე. რას ნიშნავს მაინც და მაინც დაჟინება, რომ გაზეთის თანამშრომლებმა სიტყვა გამოუშვებლად და შეუმცდარად შეადგინონ ანგარიშები!? მდივანი რომ ადგენს ვრცელს ოქმს—ის ჩვენთვის სრულიად საკმარისია. ჩვენ გაზეთის თანამშრომლებს სრული ნება უნდა მივსცეთ, რაც ენებოსთ, ის სთქვან და დასწერონ. ჩვენი ყურადღება-კი მდივანზე უნდა იქმნას მიქცეული, რადგან მოხდება ხოლმე, რომ საქმის ვითარება ვერ არის რიგიანად ჩაწერილი ოქმში და ეს ხელ შემშლელად გვეღობება. სამერმისოდ დავადგინოთ, რომ დასკვნა საზოგადო კრების გარდაწყვეტილებისა შეტანილ იქმნას ოქმში, მაგრამ უთუოდ იმ პირობით, რომ წინდაწინ იგი განიხილოს კრების თავმჯდომარემ, გამგეობამ და ზედამხედველმა კომიტეტმა.

თ. ნ. ორბელიანი. მე, რასაკვირველია, საქმე არა მაქვს გაზეთები რას ამბობენ, ან როგორ სწერენ. მხოლოდ მე იმას ვითხოვ, რომ ოქმში შეტანილ იქმნას მხოლოდ დასკვნა ამა თუ იმ განხილულის საგნის შესახებ და არა მთელი „რეჩები“; აქ წარმოსთქვეს, რომ ვრცლად უნდა ჩაიწეროს ყოველივე, რომ შთამომავლობამ შეიტყოსო. რა საქმე აქვს შთამომავლობას მასთან: ან ორბელიანმა რა სთქვა, ან თ. მიქელაძემ!.. ჩვენ ოქმების გაუმჯობესობაზედ მოვიფიქ-

როთ, თორემ მე რომ წინა წლების ოქმები გარდავიკითხე, ისეა არეული და გაურკვევლად ჩაწერილი, რომ სწორე მოგახსენოთ, შემრცხვა.

მ. მაჩაბელი. ამ საგნის შესახებ, როგორც სხვებმაცა სთქვეს, საზოგადო კრების გარდაწყვეტილება არის და სანამდის იგი არ დაირღვევა შემდეგის გარდაწყვეტილებით იმავე საზოგადო კრებისა, მანამდის სავალდებულოა. გარდაწყვეტილება-კი იმგვარია, რომ გამგეობას სხდომის ანგარიშების შესადგენად უნდა სტენოგრაფი მოეწვია; რადგანაც ქართულის ენისათვის სტენოგრაფი მოუხერხებელი შეიქმნა, გარდასწყვიტეს სტენოგრაფის მაგიერ შეედგინათ „სეკრეტარიადი". თავ. ორბელიანმა სთქვა, რომ შთამოებას რა საქმე აქვს ჩვენს „რეჩებთანაო", — მართალია შთამოებას-კი ხელი არა აქვს, მაგრამ როდესაც იცი, რომ არიან ისეთნი, რომელნიც შენს ნათქვამს დაახლოებით ვრცლად და შეუცვლელად ჩასწერენ, მაშინ გაფრთხილდები, ეცდები, რომ მეტი არა სთქვა-რა, საქმეს გვერდი არ აუარო. მე მინდა, რომ შთამოებამ-კი არა, არამედ აწინდელმა კრებამ, საზოგადოებამ იცოდეს ჩემი ნამდვილი აზრი და ჩემის სიტყვის უტყუარი შინაარსი.

თავმჯდომარე. გაგვახსენეთ წელიწადი, როდის იყო ეგ დადგინება საზოგადო კრებისა?

ივ. ს. ჯაბადარი. მომეცით ნება ამ საგნის შესახებ ორიოდე სიტყვა ვსთქვა, რადგან აზრი „სეკრეტარიადის" დაარსებისა ჩემ მიერ იყო შეტანილი საზოგადო კრების განსახილველად. მე ვამტკიცებ, რომ როცა „სეკრეტარიადი" იყო, ყველა მისი წევრი თავისს ნაწერს ამოწმებდა მეორეს, ასწორებდა, ავსებდა და — ანგარიშიც კარგი გამოდიოდა. სამის კაცის ერთად შედგენილი, შესწორებული ჭეშმარიტებითა და სიმართლით სავსე იყო; რაღაც იდეალური იყო.

(წაიკითხეს სამჯერ, თუ ოთხჯერ ოქმი 21 აპრილის 1893 წლისა. აღმოჩნდა, რომ იმ წლის სეკრეტარიადი შესდგებოდა სამის კაცისაგან: ბელინსკისა, ახნაზაროვისა და მაჭავარიანისაგან).

ივ. ჯაბადარი. ძალიან მარტივად არის წაკითხულს ოქმში გამოთქმული ის აზრი, რომ „სეკრეტარიადი" ყოველ-წლივ უნდა იქმნას მოწვეული.

შვ. თ. პ. ა. გრუზინსკი. ბევრი ღონისძიება ვიხმარეთ, რომ სტენოგრაფი მოგვეწვია. რამდენჯერმე მოვიკითხეთ, მაგრამ ჯერ ერთი რომ ხეირიანი სტენოგრაფი ვერ ვნახეთ, და მეორეც ეს, რომ ქართულის ენისათვის სტენოგრაფი მოუხერხებელი შეიქმნა. მაშინ ივ. ჯაბადარმა წინადადება შემოიტანა „სეკრეტარიადი" მოგვეწვია და 21 აპრილს 1893 წ. საზოგადო კრებამ დაადგინა იმ წლისათვის მოეწვია „სეკრეტარიადი" და არა სამუდამოდ.

შახაზიზოვი. რომ „სეკრეტარიადი"-ს სამუდამოდ მოწვევა გარდაეწყვიტათ, მაშინ სმეტაც იქნება შედგარი მათის გასამჯელოსი და რადგანაც არ არის—ჰგავს, რომ მარტო იმ წლისათვის ყოფილა მოწვეული.

ვ. ყიფიანი. ის პირები...

თავმჯ. გთხოვთ პირებზე ლაპარაკს თავი დაანებოთ და საგანს შეეხოთ.

ვ. ყიფიანი. მათი აზრი, რომელნიც „სეკრეტარიადს" თხოულობენ ის არის, რომ მათი „რეჩები" არ იქმნენ გადასხვაფერებულნი. ჩვენ გვყავს მდივანი, რომელიც დაახლოებით სინამდვილითა სწერს ყოველსავე; ვისაც ჰსურს და ვინც შეხედავს, რომ მისი სიტყვა, აზრი ან სავსებით არ არის ჩაწერილი, ან დამახინჯებულია, იმას უფლება აქვს მოვიდეს და ითხოვოს შეასწორონ ოქმი, მეტადრე მაშინ, თუ მისი სიტყვა მნიშვნელოვანი და საჭიროა. ყოველისვე-კი სავსებით და შეუმცდარად ჩაწერა გაზეთის თანამშრომელთაგან არც საჭიროა და შეუძლებელიც არის.

თავ. ალ. ჩოლოყაშვილი. იყო ისეთი შემთხვევა, რომ სამინისტროში წარსდგა საზოგადო კრების რაღაც გარდაწყვეტილება, მაგრამ იმოდენად გაუგებრად იყო ოქმში ჩაწერილი, რომ ერთი წევრი ზედამხედველის კომიტეტისა იძულებული იყო შინაარსი გარდაწყვეტილებისა ოქმის არშიაზე მოეწერა. ამისათვის ყოველივე გარდაწყვეტილება, როგორც თ. თ. ორბელიანმა და ვაჩნაძემა სთქვეს, ოქმში შეტანამდის უნდა იქმნას წაკითხული და შესწორებული გამგეობისა, ზედამხედველის კომიტეტისა და კრების თავმჯდომარისაგან. შემდეგ ვინც არც ამას დასჯერდება და იცნობს საჭიდოდ რაიმე დამატებას, მას უფლება აქვს ითხოვოს შესწორება და შევსება ოქმისა. რაიცა შეეხება სტენოგრაფს და „სეკრეტარიადის" მოწვევას, ამის შესახებ მე მხოლოდ ისა მაქვს სათქმელად, რომ თუ ეს ღონისძიება სამუდამოდ დავაკანონეთ, მაშინ საჭირო მათი გასამსჯელო სმეტაში შევიტანოთ.

თავმჯდ. მგონი კითხვა გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს?

თ. ნ. ორბელიანი. მე სრულიად ვეთანხმები თ. ალ. ჩოლოყაშვილს, მხოლოდ მისი წინააღმდეგი-კი ვარ, რომ „რეჩები" სავსებით იქმნენ შეტანილნი ოქმში, რადგანაც ეს, საფიქრებელია, დიდს უსიამოვნებასა და შეტაკებას გამოიწვევს. მე კიდევ ვიმეორებ, რომ საჭიროა ოქმში მხოლოდ დასკვნა შეიტანონ ხოლმე. მაგრამ მდივანს უნდა ჰქონდეს ორი წიგნი. ერთში უნდა იყოს აღნიშნული წარმოებითი მხარე საზოგადო კრების საქმეებისა და მეორეში დასკვნა საზოგადო კრების გარდაწყვეტილებისა.

თავმჯდ. ბატონებო, დ. კეზელის წინადადება „სეკრეტარიადის" სამუდამოდ შემოღების შესახებ გამოსთქვით თქვენი აზრი: თანახმა ხართ, თუ არა, რომ თანამშრომლებმა თავიანთი ნაწერები სარედაქციო კომიტეტს, ანუ კრების თავმჯდომარეს გარდასცეს განსახილველად? (აქ საშინელი ხმაურობა, უსიამოვნება ისმის).

მ. მაჩაბელი. რაც საზოგადო კრებამ დაადგინა, გარდასწყვიტა, იმას ზედამხედველი კომიტეტი ვერ დაარღვევს, ვერ შეეხება, არამედ უნდა ექვემდებაროს მას. „სეკრეტარიადი" თუ დაარსდება მისს ხარჯს კიდეც მიიღებს საზოგადო კრება. რაიცა შეეხება პრესსას, იგი სრულიად თავისუფალია და მოუხერხებელია მისი შევიწროება.

თავმჯდ. მართალია, მე არ შემიძლია შევავიწროვო კორესპონდენტები, ეს ჩვენს უფლებას არ შეადგენს. რაიცა შეეხება მდივანს, მას მე ჩავაწერინებ რაც საქმისათვის საჭირო კრების მსჯელობისაგან და არა სხვას. ეხლა განმეორებითა გთხოვთ გარდასწყვიტოთ: საჭიროა, თუ არა „სეკრეტარიადი"?

გ. ყარანგოზიშვილი. „სეკრეტარიადი" იყო წინად მოწვეული; შევადარეთ მისი ნაწერები გაზეთის ნაწერებს და უფრო უხეირო თუ იყო, თორემ არა სჯობდა. მაშ, ერთი მიბრძანეთ: რად უნდა ვაძლიოთ 300 მანეთი „სეკრეტარიადს", როცა მუქთად იმასვე გვიწერენ ეს დალოცვილი გაზეთის თანამშრომელნი.

კეზელი. მე აღარ მინდა მაგ კითხვას კენჭი უყარონ; მე ვეთანხმები თ. ალ. ჩოლოყაშვილის აზრს. მხოლოდ მე იმას ვამბობ, რომ ანგარიში სხდომისა სწორი უნდა იყოს, ფელეტონში-კი რაც ენებოსთ ისა სწერონ. ძალიანა ვსწუხვარ, რომ ჩემი წინადადება პრესსის თავისუფლების შემზღუდველად ჩასთვალეს.

(შემდეგ თანახმად თავმჯდ. წინადადებისა კრების უმეტესობამ უარჰყო „სეკრეტარიადი" და ყოველივე კონტროლის დანიშვნა თანამშრომლებზე. სხდომა შესწყდა).

სხდომის გახსნის შემდეგ თ. ვ. ჩერქეზიშვილმა შემოიტანა კრების წინაშე საჩივარი ზედამხედველ კომიტეტზე. მან სთქვა, რომ მე შემთხვევით ვერ წავიკითხე კომიტეტისაგან გაზეთებში განცხადება იმის შესახებ, თუ რა დრომდის შეიძლებოდა რწმუნების ბარათის წარდგენაო; დამიგვიანდა და ამ სამის დღის წინ წარვადგინე რწმუნების ქაღალდი, რომელიც მე მამა ჩემმა გარდმომცა ნოტარიუსის წესით, მაგრამ ზედამხედველმა კომიტეტმა უარი მითხრა, თუმცა ფორმალური ვექილობა არავითარს ეჭვს არ ჰბადებდაო. ესო, დაბოლოვა, სამოქალაქო უფლებათა ჩამორთმევას ნიშნავსო. ამაზე უპასუხეს, რომ ამის შესახებ არის საზოგადო კრების გარდაწყვეტილება სავალდებულო ზედამხედველის კომიტეტისათვის; ეს გარდაწყვეტილება არ დარღვეულა და, მაშასადამე, კომიტეტი კანონიერად მოქცეულაო; რომ ეს სამოქალაქო უფლებათა ჩამორთმევას-კი არ ნიშნავს, არამედ ამ კრებაში მონაწილეობის აღკრძალვას და თუ საზოგადო კრების გარდაწყვეტილება უკანონოდ მიაჩნია ბ. ჩერქეზიშვილს—მინისტრს უნდა მიმართოს საჩივრით და არა კრებას, რომელსაც უჩივისო. კრებამ ბევრის სჯისა და ბაასის შემდეგ უარ ჰყო ჩერქეზიშვილის თხოვნა.

თავმჯდ. მგონი თქვენ, ბ. ორბელიანო, სიტყვა ითხოვეთ? რა გნებავთ ბრძანოთ?

თ. ნ. ორბელიანი. ჩვენის ბანკის საქმეების შესახებ ამ რამოდენიმე დღის წინად გამგეობამ მიიღო მინისტრისაგან ქაღალდი და მოხსენება რევიზორისა სამინისტროს წინაშე; მასთან ერთად მინისტრი თხოულობს რომ მის მიერ გამოგზავნილი ქაღალდი წარედგინოს ბანკის საზოგადო კრებას და ამ უკანასკნელის მხრივ გამოთქმული ესა, თუ ის აზრი, დასკვნა, გარდაწყვეტილება მოხსენდეს მას. ეს ქაღალდი უნდა წავიკითხოთ, არა მარტო საყურადღებოდ, არამედ განსასჯელად, მისის შინაარსის შესათვისებლად, სახელმძღვანელოდ. მხოლოდ ის არის ეხლა საკითხავი, თუ როდის უნდა იქმნას ზემოხსენებული ქაღალდი კრების წინაშე წაკითხული, რომელი დრო უფრო მოხერხებულია ამისათვის? მე მგონია, რომ ეს ეხლა, ამ კრების დაწყების დროს, უფრო მოსახერხებელია, უფრო რიგიანია; მით რომ მინისტრის ქაღალდი და მოხსენება ყოფილის რევიზორისა ჩვენ უნდა სავალდებულოდ ჩავსთვალოთ და იგინი ვიქონიოთ სახელმძღვანელოდ აწინდელის საქმეების გარჩევის დროს. ამისათვის ვსთხოვ ბ. თავმჯდომარეს ეხლავე, სანამდის სხვა მორიგ საქმეებს შეუდგება კრება, წაიკითხოს მინისტრის ქაღალდი, მაგრამ მის განსჯასა და განხილვას-კი ნუ დაიწყებს; ეს წავიკითხოთ, ვიმეორებ, მხოლოდ სახელმძღვანელოდ. და რადგანაც მოხსენება რევიზიისა და მოხსენება ბანკის გამგეობისა ერთი მეორესთან შეკავშირებულია, განუცილებელია და მათი განცალკევება შეუძლებელი და ძირითადის წესდების დამარღვეველია, იმისთვის ამათზე და მინისტრის ქაღალდზე მსჯელობა ვიქონიოთ მაშინ, როცა რიგი მოუვა პროგრამით რევიზიის შესახებ გამგეობის მოხსენებას განსახილველად, ესე იგი მერვე მუხლად. მით უმეტესს, რომ ეს კითხვა ბევრს დროს მოინდომებს, გამოიწვევს დიდს მსჯელობას და დიდს, შეიძლება, აყალ-მაყალსაც. (ხმაურობაა; წევრი გამგეობისა თ. ავალიშვილი სიტყვასა სთხოვს თავმჯდომარეს).

თავმჯ. არავის არ მივსცემ ნებას ამ კითხვის შესახებ ილაპარაკოს, რადგან მე უფლება მაქვს თვით გარდავსწყვიტო რიგი და საჭიროება ამა თუ იმ კითხვისა. მე-კი იმ აზრისა ვარ, რომ მინისტრის ქაღალდი ახლავე უნდა მოხსენდეს კრებას, რადგან ის გზას გაგვინათებს საქმეების გარჩევის დროს; მაგრამ განჯა-კი მისი, ან გარჩევა, ჯერ უადგილოდ მიმაჩნია.

თ. კდ. მიქელაძე. ბ-ნო თავმჯდომარევ, ნება მიბოძეთ მოვახსენო კრებას სიტყვა თ. ორბელიანის მხრივ აღძრულის საგნის შესახებ.

თავმჯდ. მე უკვე გამოვაცხადე, რომ ამის შესახებ არავის სიტყვის ნებას არ ვაძლევ; მაშასადამე ვერც თქვენ მოგცემთ სიტყვის თქმის ნებას; ან-კი რა აზრი უნდა გამოსთქვათ არ მესმის.

თ. კდ. მიქელაძე. თუ მომისმენთ სიტყვას, შესაძლოა, აზრიც გამოარკვიოთ.

თავმჯდ. ინებეთ.

თ. კდ. მიქელაძე. მე სრულებით თანახმა ვარ მისი, რაც თ. ნ. ორბელიანმა წარმოსთქვა; თანახმა ვარ, რომ მინისტრის ქაღალდი მოხსენდეს კრებას—ეს სრულიად კანონიერია; აგრეთვე კანონიერია თქვენი შენიშვნაც იმის შესახებ, რომ ყოფილის რევიზორის მოხსენებაც წავიკითხოთ. მაგრამ საქმე ის არის, რომ აქ, ეს ჩვენი დღევანდელი კრება, არ არის ფინანსისტთა კრება, რომ ყოველი საგანი ბანკის საქმეებისა და მისის ოპერაციების შესახებ დაუყოვნებლივ შეიგნოს, შეითვისოს, ახსნას; ამ კრებას არ შეუძლია თვითეულის შენიშვნისა და წინადადების აზრი, რომელნიც სამინისტროსა და რევიზორის ქაღალდებშია მოთავსებული, სიმართლიანად, შეუმცდარად, სავსებით გაიგოს, თავისებურად არ ახსნას. ამისათვის საჭიროა დებატები, ვრცელი და ჩაკვირვებული მსჯელობა; მაგრამ ვერავითარს დასკვნას, გარდაწყვეტილებას ამ საგნის შესახებ ჩვენი დღევანდელი კრება ვერ დაადგენს, რადგანაც წესდების § 82 ძალით ბანკის მმართველობამ და ზედამხედველმა კომიტეტმა უნდა განიხილონ წინ და წინ ყოველი ამგვარი საგანი და შემდეგ განაჩენის დასადგენად წარუდგინოს კრებას. ამისათვის, ვიმეორებ, რომ, თუ ჩვენ ამ საგნის შესახებ რაიმე გარდაწყვეტილების დადგენა გვინდა, მაშინ უნდა შევასრულოთ აუცილებლად კანონის მოთხოვნილება, ვთხოვოთ გამგეობასა და ზედამხედველს კომიტეტს მოიწვიონ საგანგებო კრება და მას გადაეცეს საგანი განსახილველად და გარდასაწყვეტად, მით უმეტესს, რომ ამასვე ითხოვს თვით მინისტრი თავის ქაღალდში. ეხლა-კი თუ წავიკითხავთ ზემო აღნიშნულ ქაღალდებს, მე ვითხოვ, რომ იგინი წაკითხულ იქმნან მხოლოდ განსჯითა და განმარტებით.

(ხმა: რა განმარტება გვინდა? ყველამ ვიცით, ყველა გავიგებთ!)

თ. კდ. მიქელაძე. თქვენთვის იქნება ყოველივე ცხადი და განმარტებულია და ჩემთვის კი არა! მე ვითხოვ წამიკითხოთ, ამიხსნათ, გამაგებინოთ, განმიმარტოთ, შემასწავლოთ და ისე მომთხოვოთ დასკვნა ამა თუ იმ საგნის შესახებ.

თავმჯდომარე. მაპატიეთ, ბ. მიქელაძევ, მაგრამ უნდა წავუკითხო განუსჯელად.

თ. კდ. მიქელაძე. კრება მოგთხოვს, თქვენო აღმატებულებავ, ამასვე, იგი დაიცავს თავისს უფლებას. (კრება 15 წამით შესწყდა).

თავმჯდ. (სხდომის გახსნის შემდეგ) ბატონებო, მე შევსწყვიტე სხდომა იმისათვის, რომ აქ მხარეებთ შორის უთანხმოება მოხდა: წაგვეკითხა მინისტრის ქაღალდი და თანაც მსჯელობა გვქონოდა, თუ მარტო წაგვეკითხა? ეხლა, როგორც გავიგე, მხარეებთ მოულაპარაკნიათ და შეთანხმებულან. ვისა ჰსურს სიტყვის თქმა ამის შესახებ?

თ. ნ. ორბელიანი. უთანხმოება არის მხოლოდ წაკითხვის შესახებ. მე ვითხოვ წაკითხულ იქმნას მერვე მუხლთან ერთად. მაშინ უნდა ვილაპარაკოთ მხოლოდ არა მის შემახებლობაზე ჩვენის ბანკის საქმეებთან და მათ წარმოებასთან, არამედ მისს შინაარსზე. ამასთან, არ იქნება ურიგო, რომ დავასტამბვინოთ რამოდენიმე ეგზემპლიარი მინისტრის ქაღალდისა და რევიზორის მოხსენებისა და დავურიგოთ წევრებს, რომ სანამდის მსჯელობაზე საქმე მივარდებოდეს, მანამდის შეითვისონ კიდეც მისი შინაარსი და დედა-აზრი. ეს თუ მმართველობისათვის ამ ჟამად სამძიმო იქნება, მე ვკისრულობ ამის აღსრულებას სრულიად კანონიერის ღონისძიებით.

ეკ. გაბაშვილი. მე იმ აზრისა ვარ, რომ კრებას უთუოდ ეხლავე მოხსენდეს მინისტრის ქაღალდი და მსჯელობა-კი მაშინ ვიქონიოთ იმის შესახებ, როდესაც ჯერი მივა მერვე მუხლამდის, ესე იგი, როცა გამგეობის მოხსენებას განვიხილავთ რევიზიის შესახებ.

თ. დ. ავალიშვილი. არავითარი საჭიროება არ მოითხოვს, რომ მინისტრის ქაღალდი მაინცა და მაინც ეხლავე იქმნას წაკითხული და მსჯე-

ლობა-კი ვიქონიოთ რამოდენიმე დღის შემდეგ. თუ წავიკითხეთ—კიდეც უნდა გავიგოთ რასა ვკითხულობთ, უნდა მივსცეთ ჩვენს თავს ანგარიში რა როგორ ყოფილა, რას გვეუბნებიანდა რა უნდა მოვიმოქმედოთ? ამისათვის უმჯობესი იქნება მინისტრის ქაღალდი, რევიზორის მოხსენება სამინისტროს წინაშე და გამგეობის მოხსენება რევიზიის შესახებ ერთად წავიკითხოთ, ესე იგი მერვე მუხლად, მაგრამ ეს უნდა ვიცოდეთ, რომ ამ ჟამად, ეს კრება ვერავითარს დასკვნას იმ ქაღალდის შესახებ ვერ დაადგენს, რადგან ეს წესდების წინააღმდეგია.

თ. ივ. მაჩაბელი. მე შინაარსის მხრით ვერ ვხედავ დაბრკოლებას ეხლა იქნება წაკითხული მინისტრის ქ ღალდი, თუ მერე; არც იმას შევხები—გაიგებს თუ არა კრება ეხლა ამ ქაღალდის და რევიზორის მოხსენების აზრს. მე მხოლოდ იმ აზრისა ვარ, რომ ყოველ შემთხვევაში ძნელია 126 გვერდი ერთბაშად შეითვისოს კრებამ, სავსებით გაიგოს. მაშასადამე ეხლა მოისმენს, თუ მერე—მე მგონია განსხვავება არ იქნება. მე სრულიად თანახმა ვარ თ. ორბელიანისა, რომელმაც სთქვა, რომ წინდაწინვე მისთვის წავიკითხოთ ხსენებული ქაღალდები, რომ ვიხელმძღვანელოთ და არაფერი შეცდომა არ მოგვივიდესო. მართალია მე წაკითხული მაქვს და ვიცი, რომ რევიზორის მოხსენებაში ყოველისავე დღეს ჩვენ მიერ გასარჩევ საქმისათვის არის სახელმძღვანელო. შეიძლება რევიზორის აზრი არავისათვის სავალდებულო არ იყოს—ეს არ ვიცი, მაგრამ თუ ეხლავე არ წავიკითხეთ, მერე, შეიძლება, გვიან იყოს: ისეთი გარდაწყვეტილება, შეიძლება, დავადგინოთ, რომელიც ეწინააღმდეგება რევიზორის აზრს. მაგალითად რევიზორი ამბობს, რომ საიგარაკო მამულების გირაოდ მიღება წესდების წინააღმდეგიაო; თუმცა ისიც თანაუგრძნობს ამგვარს გირაოს. ამისათვის სჯობს, რომ ეხლავე წავიკითხოთ.

შტ. თ. ბ. გრუზინსკი. აქ თხოულობენ ორის ქაღალდის წაკითხვას: მინისტრისა და რევიზორისას. მე, როგორც წარმომადგენელი კოლეგიისა, ვსთხოვ კრებას, ამ ორის ქაღალდის წაკითხვის შემდეგ, შეუდგეს მსჯელობას და მოგვეცეს ჩვენ ნება ავხსნათ ყოველივე დაწვრილებით. ჩვენვე, რომელსაც შეგვეხება საქმე, ვითხოვთ, რომ ყოველივე ნათელი და გაგებული იქმნეს და რისა ეშინიან კრებას, რომ კითხვას აპირებს განუმარტებლად?

თ. ალ. ჩოლოყაშვილი. მე მინდოდა მეკითხა თ. ივ. მაჩაბლისათვის, თუ რა აზრისა იყო ამ საგნის შესახებ, მაგრამ დამასწრო და თავისი აზრი ეს არის ეხლა გამოხატა. თვით მინისტრი თავის ქაღალდში ამბობს და ითხოვს, რომ რა ზომებს იხმარს გამგეობა აღსასრულებლად ჩემის ქაღალდისა და რა დასკვნაზე დადგება საზოგადო კრება, მომახსენეთო. მაშასადამე ჩვენ ვალდებულნი ვართ წაკითხვასთან ერთად კიდეც განვმარტოთ და განვსაჯოთ. თ. მაჩაბელი ამბობს, რომ თუ არ წავიკითხეთ შეიძლება დავსცილდეთ დედა აზრს ამ ქაღალდებისას და ვერ აღვასრულოთ მინისტრის მოთხოვნილებაო. მე ძალიან მიკვირს, რომ ბ. მაჩაბელმა, როგორც წევრმა გამგეობისამ, არ იცის, რომ კრება ვერ აღასრულებს მინისტრის მოთხოვნილებას ამ ჟამად, რომ იგი ვერავითარ განაჩენს და დასკვნას ვერ დაადგენს, რადგან ეს წესდების წინააღმდეგია. ჩვენ შეგვიძლიან წავიკითხოთ, განვსაჯოთ, მაგრამ გარდაწყვეტა-კი მერმისს უნდამ ივანდოთ. გაბაშვილმა სთქვა, რომ თუ ახლავე არ წავიკითხეთ — შეიძლება რევიზორი რასმე ამბობდეს და ჩვენ ის არ აღვასრულოთო. რა გაჰკვირვებია იმ დაღოცვილს, რომ რევიზორის ყოველივე სიტყვა არ აღვასრულოთ: სისხლის სამართლის წესდებაში სწერია—ნუ მოკლავ, ნუ მოიპარავ, მაგრამ ყოველ დღე ირღვევა ეს აკრძალვა. მისთვის ის აზრი, რომ დღეს წავიკითხოთ და გარჩევას კი რამოდენისამე დღის შემდეგ შევუდგეთო—შემცდარი აზრია.

გ. ყარანგოზიშვილი. წაიკითხონ და აგვიხსნან, განგვიმარტონ, გაგვაგებინონ; თუ არ აგვიხსნიან არა ვართ თანახმა.

გ. გაბაშვილი. ჩემთვის სულ ერთია ეხლა წაიკითხვენ, თუ მერე, ან მარტო წაიკითხვენ, თუ განსჯიან კიდეც,—თუ ამგვარად მორიგი კითხვების გადატანა წესდების წინააღმდეგი არ იქნება.

თ. ილ. ჭავჭავაძე. ბევრი ისეთი კითხვებია ხსენებულ ქაღალდებში, რომ მათი განუმარტებლად და აუხსნელად მოხსენება კრების წინაშე შეუძლებელია.

ივ. ჯაბადარი. სხვა რომ არა იყოს რა და ჩვენს მოვალეობას არ შეადგენდეს მინისტრისა და რევიზორის ქაღალდის წაკითხვა, უბრალო მორიდება, ზრდილობა მოითხოვს, რომ ეს ქაღალდები პირველად წავიკითხოთ და ყურადღებაში მივიღოთ. მე არაფერი არა მაქვს მისი საწინააღმდეგო, რომ წაკითხვასთან ერთად მსჯელობაც ვიქონიოთ, მაგრამ საქმისა და საგნების სიმძიმისა და მნიშვნელობის გამო, მე მგონია ბოლოს ემჯობინებოდა მსჯელობა.

თ. ალ. ჩოლოყაშვილი. ბატონო თავმჯდომარევ, სრულს თქვენს ნებასა და უფლებას შეადგენს მოახსენოთ კრებას ის მუხლი, ის საგანი, რომელსაც თქვენ საუმჯობესოთ დაინახავთ. ამისათვის გამგეობის მოხსენება რევიზიის შესახებ, რომელიც მერვე მუხლად არის აღნიშნული, გარდმოიტანეთ პირველად და მასთან ერთად წავიკითხოთ რევიზორის მოხსენებაც და მინისტრის ქაღალდიც და ყველა ერთად უფრო ნათლად, უფრო მკაფიოდ აგვიხსნის საქმის ჭეშმარიტს მდგომარეობას.

მ. მაჩაბელი. არა მაქვს რა წინააღმდეგი მისა, რომ ეხლა წაიკითხვენ, თუ მერე, მაგრამ მე მგონია რომ ეხლა აჯობებდა. ზოგიერთნი იმ აზრისა არიან, რომ თუ ეხლავე არ წაგვიკითხეს და თანაც ეხლავე არ აგვიხსნესო, მერე ვერ გავიგებთო; მე კი იმ აზრისა ვარ, რომ ეხლა რომ წამიკითხვენ და განმარტებას შეუდგებიან რამდენისამე დღის შემდეგ და ამგვარად დროს მომცემენ ჩაკვირებისას, დაფიქრებისას, მაშინ უეჭველია, უფრო გავიგებ. თორემ წამიკითხვენ ერთბაშად 126 გვერდს, ვერც-კი მოვასწრებ აზრების მოგროვებას და, რასაკვირველია, მსჯელობისა და დაფასების დროს მართალი ის იქნება, ვინც ლამაზად იტყვის. არა! ეხლა წაიკითხეთ, მერე დაბეჭდინეთ, დაურიგეთ წევრებს და ამ გვარად საყურადღებო საგანს უფრო ღირსეულად შემოუვლით.

თავმჯდ. გარდამიწყვეტია: მერვე მუხლი პირველად გარდმოვიტანოდა ერთად წავიკითხოთ მინისტრის ქაღალდი, რევიზორის მოხსენება და გამგეობის მოხსენება რევიზიის შესახებ.

22 აპრილი.

სხდომა გაიხსნა 11 საათზედ. პირველად მოახსენეს კრებას იმა რწმუნების ქაღალდების შესახებ, რომელნიც ზედამხედველის კომიტეტის განკარგულებით არ იქმნენ მიღებულნი ვადის გაშვების გამო. საზოგადო კრებამ მოიწონა განკარგულება ზედამხედველის კომიტეტისა. შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ, თანახმად წინა დღის გარდაწყვეტილებისა, კრებას მოხსენდება მინისტრის ქაღალდი, რევიზორის მოხსენება სამინისტროსადმი და მოხსენება ამ მოხსენების შესახებ თვით გამგეობისა. მაგრამ ჯერ მოვისმინოთ წინა სხდომაათ ოქმები. პირველის სხდომის ოქმზე თ. ნ. ორბელიანმა განაცხადა სურვილი, რომ ოქმი იყოს შევსებული მისის შენიშვნით, რომ წევრს ზედამხედველის კომიტეტისას არა აქვს ნება კანონის მხრით იყაროს კენჭი კრების თავმჯდომარეობაზედ. თავმჯდომარემ დააკმაყოფილა მისი თხოვნა. შემდეგ მეორე ოქმიც მიიღეს. როცა ჯერი მიდგა კითხვაზე და მისს წესზედ სიტყვები წარმოსთქვეს.

თ. ილ. ჭავჭავაძე. მე უმორჩილესადა ვსთხოვ საზოგადო კრებას ერთად წაიკითხონ მინისტრის ქაღალდი, რევიზორის მოხსენება, მაჩაბლის მოხსენება, პასუხი გამგეობისა და ყველას შესახებ მოგვცეთ ნება ვიქონიოთ მსჯელობა, რომ ყოველივე ნათელი იყოს, გარკვეული და გაგებული. თუ ბ. თავმჯდომარე, ანუ საზოგადო კრება ვერ სცნობს შესაძლოთ—ყოველივე ერთად წაიკითხონ და განსაჯონ, მაშინ უმორჩილესადა გთხოვთ მე და ჩემი ამხანაგები აღნიშნოთ დრო, თუ როდის შეგვეძლება ვიქონიოთ ამის შესახებ მსჯელობაა.

თ. ნ. ორბელიანი. მე სრულებით თანახმა ვარ თ. ჭავჭავაძისა; თუ წავიკითხავთ დ განვსჯით, მაშინ ყოველივე უნდა წავიკითხოთ, თორემ რომელისამე საბუთის წაკითხვა, ანუ რომელისამე ადგილას განსჯა არ არის სასურველი, ვერ მიაღწევს საგანს. მაგრამ ვითხოვ ამ საბუთებთან ერთად წაკითხული იქმნას ოქმი შეერთებულის სხდომისა ზედამხედველის კომიტეტის და გამგეობისა, რომლითაც ცამეტმა კაცმა ერთის წინააღმდეგ დაადგინეს, რომ თ. ივ. მაჩაბელი სამსახურში შეუწყნარებელიაო. გთხოვთ რომ ეს ოქმი მისის კენჭის ყრის წინად წაიკითხონ და ჩვენ ვღებულობთ ჩვენს თავზე მაგის სიმძიმეს და მოსალოდნელს შიშს.

შტ. თ. ბ. გრუზინსკი. მე ვუერთდები თხოვნას თავ. ილ. ჭავჭავაძისას და მეც ჩემის ამხანაგების მხრით ვითხოვ, ყოველივე წაიკითხონ, როგორც ის ოქმიც, ისე კიდევ სხვა ბევრი საბუთები იმ ოქმის გასამართლებელი. ს. თარხნიშვილი თხოულობს, რომ რადგან ხსენებულის ქაღალდების შინაარსი ყველამ იცის, ამისათვის მხოლოდ მინისტრის ქაღალდი წაიკითხეთო. თავ. ილ. ჭავჭავაძე და თავ. ნ. ჩოლოყაშვილი კიდევ თხოულობენ ყოველისავე წაკითხვასა და განსჯასა. შემდეგ ამისა შეუდგნენ კითხვას. პირველად იქმნა წაკითხული მოხსენება გამგეობისა რევიზიის შესახებ, შემდეგ ოქმი თ. მაჩაბლის შეუწყნარებლობის შესახებ და შემდეგ მისი მოხსენება რევიზორის წინაშე. სიგვიანის გამო თავმჯდომარემ შესწყვიტა კითხვა. თ. ნ. ორბელიანმა ითხოვა, რომ მინისტრის ქაღალდი და რევიზორის მოხსენება დაისტამბოს და დაურიგდეს წევრებს. თ. ილ. ჭავჭავაძემ განაცხადა, რომ მაგას მინისტრის დაუკითხველად ვერ ვიკისრებთო. მცირე მსჯელობის შემდეგ თავმჯდომარეს გამგეობისა თ. ჭავჭავაძეს დაავალეს გაეგზავნა სწრაფი დეპეშა სამინისტროსათვის. დეპეშა გაგზავნეს. სხდომა ხვალ დილის ათს საათამდის გარდაიდვა.

გრ. აბაშიძე.

## კორესპონდენცია.

**სურამი.** სწორედ შვიდი თვეა, რაც სურამში უფასო სამკითხველო დაარსდა. თუ არ ხალხის გამოღვიძებით, სწავლის შექნის სურვილით, სხვაფრივ არ შეიძლიან ავხსნა სურამში სამკითხველოს დაარსება, იმ სურამში, სადაც განუწყვეტლად „კაკალჯანის“ სიმღერა და დოლ-დუდუკის ხმა გაისმოდა.

იმედია, ეს სამკითხველო გახდება სხვა-და-სხვა ინტერესებით გატაცებულ სურამელების შემაერთებელ ქვა-კუთხედად.

17 მარტს მომხდა სამკითხველოში ყოფნა და დიდი სიამოვნება ვიგრძენ და მრავალი კარგი შთაბეჭდილება გამოვიტანე იქიდამ.

სამკითხველო შუა დაბაშია მოთავსებული, შოსსეს გზის პირად. დილიდამ საღამომდის სამკითხველოს კარია ღიაა, ასე რომ მსურველს ყოველს ჟამს, ყოველს წუთს შეუძლიან შევიდეს ამ გონების მოსამზადებელს სალაროში და დაეწაფოს სიტკბოების წყაროს. შიგნით სამკითხველო მშვენიერად არის მოწყობილი, დასუფთავებული, მიდაგ-მოდაგებული; კაცი პირველსავე შესვლაზე შეატყობს, რომ სამკითხველოს გამგებელი ფორმალურად არ ეკიდება მის დამი რწმუნებულს საქმეს. სამკითხველოს შუა ადგილას გრძელი მაგიდა სდგას; მაგიდას ერთს მხარეს სავარძელი უდგია და დანარჩენით სკამები აქვს შემომწკრივებული. მაგიდაზე სხვა-და-სხვა რუსულ-ქართული, ასე ათამდის, ჟურნალ-გაზეთი აწყვია. წიგნთ-საცავს ყველა ადგილობრივი რუსულ-ქართული გაზეთი აქვს გამოწერილი დაკლებულ ფასად, გარდა „მწყემსი“-სა და, გგონებ, „კავკაზ“-ისა.

როგორც მაგიდის პირდაპირ დაკიდებულ სიიდამა სჩანს, სამკითხველოს ოც-და-ორი დამფუძნებელი წევრი ჰყოლია და ოც-და-ჩვიდმეტიც მუდმივი წევრი. ცხოვრების ტალღებში გართული, ცოლ-შვილის პატრონი, ათასის საქმის მქონნი წევრები ისეთის ხალისით ასრულებენ თურმე თავიანთს მოვალეობას, ფულის შეტანას, რომ მოგონება არც-კი სჭირიათ.

წიგნთ-საცავს კარგა ბლომად ჰქონია წიგნები, მაგრამ სურამელებში ისე ღრმად გაუდგამს კითხვის სურვილს ფესვი, რომ ეს წიგნები ვერ აკმაყოფილებენ მათ. მაგ. ჩემს აქ ყოფნაში, სხვათა შორის, ერთი დურგალი მოვიდა, თითქმის ნახევარი საათი უკითხა სამკითხველოს გამგებელმა კატალოგიდამ წიგნების სახელები და წიგნი ძლივს ამოურჩია; მსურველს ყველაფერი წაეკითხა. ძალიან ეტანება თურმე კითხვას ახალგაზრდა თაობა, და მოწაფეები, რაც სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ, სამწუხაროდ, სამკითხველო საბავშვო წიგნებზე ძალიან სუსტად ყოფილა.

ექვსი საათი შესრულდა, გამგებელმა ახალ-ახალი გაზეთები მოიტანა. სამკითხველო ხალხით გაივსო. ზოგმა „ივერიის“ წამოავლო ხელი, ზოგმა „კვალს“, ზოგმა „Новость“-ს და სხვას. შეუდგნენ მშვიდად, წყნარად კითხვას. ასეთი სურათის ხილვით კაცს მალა-უნებურად გული სიამოვნებით აევსება და არ შეიძლება უგულითადესი მადლობა არ უძღვნას წევრთ სამკითხველოს დაარსებისათვის. აგრეთვე დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი ი. მესხი, სამკითხველოს გამგებელი, რომელიც, მიუხედავად სამსახურისა, ძალას იტანს და წიგნთ-საცავს უსასყიდლოდ განაგებს.

წიგნთ-საცავი, როგორც სჩანს, კარგს საფუძველზეა დამდგარი და თანაგრძნობის ღირსია ყოველის განათლებულის კაცისაგან. სამკითხველოში რამდენისამე საათის ყოფნამ დაბეჯითებით დამარწმუნა, რომ სურამელებისათვის, რომელთაც ასეთი წყურვილი გაღვიძებიათ წიგნების კითხვისა, არამც თუ სამკითხველოში რაც წიგნებია მეტი არა, არამედ უფრო მეტი უნდა შეიძინონ. დიდად სასიამოვნო იქნება, თუ ეს ნაკლი შეივსება; უფრო-კი საყმაწვილო წიგნები ესაჭიროება სამკითხველოს.

მანი.

1896 წ. 15 აპრ.

## უცხოეთი

**იაპონია.** ბერლინის ზოგიერთი გაზეთები დარწმუნებით ამბობენ, ნამდვილის წყაროებიდამ ვიცით, რომ იაპონიის საელჩოში სრულიად არა იციან-რა იმ ხმების შესახებ, ვითომ რუსეთსა და იაპონიის შორის კორეს შესახებ შეთანხმება მომხდარიყოს და ეს ხმები უსაფუძვლოდ მიაჩნიათ. „ბერლინერ ტაგებლატი“ ამბობს ამის გამო, ჩვენ უნდა დაუმატოთ მხოლოდ ისაო, რომ თუმც იაპონელთა მდგომარეობა კორეში არ არის კარგი, მაგრამ მაინც არ უნდა გაჰგზავნონ ჯარები კორეში, რადგან არა სურთ რუსეთთან შეტაკება მოუხდეთ. აგრეთვე გაზეთს აუწყებენ პეტერბურგიდამ, რომ კორესთან მოლაპარაკება სესხის შესახებ არ გათავებულა. ეს-კი ნამდვილად იციან, რომ ამ საქმის გამო შეთანხმებას არ მოჰყვება რუსეთის პროტექტორატი კორეზედ, ისეთი პროტექტორატი, როგორიც საფრანგეთსა აქვს მადაგასკარზედ. ხოლო, თუ კორეს მეფე მოსთხოვს რუსეთის მთავრობას ჯარი მომეცი მხარეში მშვიდობიანობის დასამყარებლადო, მაშინ უარს არ ეტყვის რუსეთიო. აგრეთვე რუსეთის ჯარები ეცდებიან უწესოება მოსპონ კორეში, თუ მეფე მოისურვებს და თუ ამას მოითხოვს გარემოება.

**უნგრეთი.** „პესტერ ლოიდში“ დასტამბულია წერილი სერბიის წინააღმდეგ. ეს წერილი, რომელშიაც სერბიის მთავრობას „გაუზრდელს“ უწოდებენ, გამოუწვევია, როგორც ამბო-

ბენ, იმას, რომ სერბიის მთავრობას უბრძანებია თავისი ელჩისათვის ვენაში და კონსულისათვის ბუდაპეშტში, არ დაესწროთ უნგრეთის ათასი წლის დღეობის დღესასწაულზედ. ზემოხსენებული გაზეთი თხოულობს, რომ სერბიასთან გასწყვიტოს მთავრობამ ყოველივე დიპლომატიური კავშირი. მთავრობის თავაზიანმა პოლიტიკამ ბალკანეთის წვრილ სახელმწიფოთა შესახებ ვერ მოიტანა მოსალოდნელი ნაყოფი და ამისათვის საჭიროა შევსცვალოთ ჩვენი პოლიტიკაო. ვენის გაზეთები-კი იმას ამბობენ, რომ ჩვენ არაფერი ამგვარი არა ვიცით-რა სერბიის მთავრობის შესახებაო.

**ეგვიპტე.** ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ შემოდგომაზედ ინგლისისა და ეგვიპტის ჯარები დაიძვრიან სუდანისაკენ, „დაილუ ხრონიკლში“ ამ ორის კვირის წინად დაბეჭდილი იყო, რომ გენერალ სერ-რედვერს ბულლერი შემოდგომაზედ წავა ეგვიპტეში და სუდანის ექსპედიციას თავში დაუდგებაო. ეხლა „რეიტერის სააგენტო“ ამტკიცებს ამ ხმას და ამბობს, რომ გენერალი იქნება ქაირში შუა აგვისტოშიო. სერ რედვერს ბულლერი—ინგლისის ერთი საუკეთესო გენერალთაგანია და ამას წინად მას ასახელებდნენ ინგლისის ჯარების მთავარ სარდლად.

როგორც ვიცით 14-ს მარტს ეგვიპტის სავალო კასსის მმართველობის წევრებთა უმეტესობამ გარდასწყვიტა მიეცეს მთავრობას 500.000 გირვ. სტერლ. იმავე დღეს მისცეს 200.000, 6 აპრილს მთავრობამ წაიღო 150.000 გირ. სტერ. ასე რომ ერთის თვის განმავლობაში 350.000 გირვ. სტერლინგია დახარჯული. ამ გარემოებამ ცოტა არ იყოს გერმანული გაზეთები დააფიქრა. „ნაციონალ ცაიტუნგი“ ამბობს: ექსპედიციის დაწყებისთანავე ამდენი ფული მოუნდაო და შემდეგ რაღა იქნებაო. რაღა თქმა უნდა, ეგვიპტის მთავრობამ უნდა ისესხოს ინგლისისაგან ფული და მის მოვალედ უნდა გახდეს. ისევ გავრცელდა ის ხმა, რომ საერთაშორისო საბჭო იქნება მოწვეული, რათა გაარჩიოს ეგვიპტის საქმეო. ბერლინის ერთი გაზეთი ამბობს, რომ აფრიკისა და განსაკუთრებით ეგვიპტის საქმეების გამწვავებამ ისევ დააფიქრა საზოგადოებაო. ამბობენ, იქნება სამართლიანიც იქმნეს და სასარგებლოც, რომ საერთაშორისო საბჭო (კონფერენცია) იქმნეს მოწვეული ამ საგნის შესახებაო. ინგლისი კი ემზადება ექსპედიციისათვის. ლონდონის გაზეთები ამბობენ, რომ ამ ომში ახალი თოფები იქმნება პირველად ხმარებულიო. ეს თოფები 14 ვერსზედა სცემენ, და ყოველივე მის თითო სროლას 300 კაცის მოკვლა შეუძლიაო. მერე კიდევ ისეთი სისწრაფით სცემს, რომ ჯერ ამის მსგავსი არა იციან რაო. გავარდება თუ არა ერთი, მას მეორე მოჰყვებაო. რადგან მარტო ერთ ქარხანას არ შეუძლია საჭირო რიცხვი მოამზადოს, სხვა და სხვა ქარხნებს შეუკვეთენ ამ თოფების მომზადებასაო.

## საქართველოს თავადნი.

თავადნი წულუკიძენი. 6 დეკემბერს 1850 წ. უმაღლესად დამტკიცებულს იმერეთის თავადთა საოჯახო სიაში აღნიშნულნი არიან თავადნი წულუკიძენი და ჩამოთვლილია 31 ოჯახობა ხსენებულ თავადიშვილთა.

უმართებულესის სენატის დადგენილებით 5 აპრილს 1852 წ. და 20 დეკემბერს 1891 წ. ამ გვარს შეუერთდნენ თავადნი წულუკიძენი: 1) ნიდიტორა ალექსანდრეს ასული (ქმრად თავადი ბაგრატიონი ჰყავდა) და 2) გიორგი სვიმონის ძე წულუკიძე.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადო ბ. ივანე ბურჭულაძეს, რომელმაც ქ. სოხუმში შეჰკრიბა ჩემდა სასარგებლოდ 66 მან. და 60 კაპ., ეს ფული უკვე მივიღე, გულითადს მადლობას ვუძღვნი აგრეთვე ხსენებულ ქალაქის საზოგადოებას, რომელმაც შემლებისადაგვარად შემწეობა აღმომიჩინა; გიგზავნით სიას შემომწირველთა:

მღვდელმა ბესარიონ ხელაიამ 5 მან., დეკანოზმა დავით მაჭავარიანმა 1 მ., ივანე ბურჭულაძემ 10 მ., პეტრე ბარკალაიამ 5 მ., ანთიმოზ ჯუღელმა 2 მ., თეიმურაზ გაბუნიამ 2 მ., მიხ. ანთელავამ 2 მ., სტეფანე თურქიამ 2 მ., აპ. თექმიჩეკმა 2 მ., № № 2 მ., ივანე კეთილაძემ 2 მ., მიხ. გვაზავამ 1 მ., ანტონ ქარცივაძემ 1 მ., პავლე კალანდარიშვილმა 1 მ., არჩ. მგელაძემ 1 მ. პავლე კეთილაძემ 1 მ., ნესტორ მასხარაშვილმა 1 მ., №№ 1 მ., პორ. მაღლაკელიძემ 1 მ., გრ. ხუხუნამ 1 მ., ალ. ჩაჩავამ 1 მ., გვადა გუგუშვილმა 50 კ., საჩინო თურქიამ 1 მ., თედო სახოკიამ 1 მ., გ. ნარაკიძემ 1 მ., კარპ. წერომ 1 მ., ილარიონ ხომერიკმა 50 კ., ბეგლარ თურქიამ 1 მ., გიგო გურასანიძემ 50 კ., იაკობ მამინოშვილმა—50 კ., ტიმოთე ანუამ—60 კ., ნიკიფორე ერქომაიშვილმა—1 მ., ლ. ნაბიერიძემ 50 კ., გოგრიჩიძემ 1მ., ანდრე გოთოშიამ 1 მ., ალ. სიჭინავამ 1 მ., ზაქარია თურქიამ 1 მ., ანტ. გოჩელეიშვილმა 1 მ., სპირ. მეტაქსამ 1 მ., გიორგი სპანაქამ 1 მ., დიმიტრი ნადარეიშვილმა 1 მ., ივ. ბებეშკორმა 1 მ., ალ დგონჯილმა 50 კ., კარლამ რუხაძემ 1 მ. და მწვ. ლომაძემ 1 მან.

პ. კიკალიშვილი.

ქ. ხარკოვი.

—

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ საშუალებით ნება მოგვცეთ მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც მეჯვრისხევის სახალხო სამკითხველოს შემოსწირეს: თ. გ. ა. ერისთავმა შოთა რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის დიდი სურათები, თ. დ. ი. ერისთავმა დიდი სურათი ა. ყაზბეგისა; ბ. ნ. ლომაურმა 35 ცალი ქართული წიგნი და ორი ცალი რუსული წიგნი; ქ. კ. გარაყანიძისამ რვა ცალი ქართულ-რუსული წიგნი; ბ. ა. ი. კალანდაძემ რვა ცალი ქართული წიგნი; ბ. გ. ლოლაძემ ექვსი ცალი რუსული წიგნი; ანტ. მაკალათიამ ოთხი ცალი ქართული წიგნი და „ზემლემერმა“ მიხაილოვმა ლექსიკონი უცხო ენათა სიტყვებისა ა. ნ. ჩუბინოვისა.

გამგე სამკითხველოსი ეკატერინე გიორგის ასული ერისთავისა.

## „ივერიის“ დეპეშა.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

21 აპრილი.

**პარიზი.** 1-ლ მაისს პარიზში მშვიდობიანობა იყო. სხვა-და-სხვა უბნებში მომხდარს მრავალ რიცხვოვანს კრებებზედ არავითარი არეულობა არ ყოფილა. ორატორთა უმეტესობა იმაზედ ლაპარაკობდა, რომ დღეში 8 საათით მუშაობა შემოიღონ. როგორც პროვინციებიდამ იტყობინებოდნენ დეპეშით, არც არაფერი იქ მომხდარა.

**ბუდაპეშტი.** ვენგრიის ათასის წლის არსებობას დღესასწაულობენ. ქუჩები საუცხოვოდ არის მორთული. გამოფენის გახსნას დაესწრნენ სამეფო სახლეულობის წევრნი, დიპლომატიური კორპუსი, წევრნი ავსტრიისა და ვენგრიის პარლამენტებისა, მონარხიის ორთავ ნაწილის მინისტრნი, კარის-კაცნი, გენერლობა და შტაბ-ოფიცრები. მობრძანდნენ აგრეთვე მეფე-დედოფალიც, რომელთაც დიდის აღტაცებით მიეგებნენ. მეფემ განაცხადა, რომ გამოფენა გახსნილია და კიდეც დაათვალიერა.

**ლონდონი.** კენტერბერიის არხიეპისკოპოსმა პიტერსბურგის ეპისკოპოსი დანიშნა ინგლისელთა ეკკლესიის წარმომადგენლად წმ. დაგვინებაზედ დასასწრებლად მოსკოვში.

**ლონდონი.** „ტაიმსს“ ატყობინებენ დეპეშით თეირანიდამ, რომ იქ მცირედი აღელვება ეტყობა ხალხს. მთავრობის წარმომადგენელთა რჩევით, პრინცი ქამრან-მირზა-ნაიბ, ესსალტანე სასახლიდამ არ გამოდის.

**თეირანი.** შაჰის მოკვლის შესახებ დაწვრილებითი ამბავი: შაჰმა, რომელსაც თან ახლდნენ ვეზირი და ამალა, განვლო სამლოცველო ადგილის გარეთი ეზო; არაბებს წყალობა უბოძა. შაჰი გასცილდა აგრეთვე შუაგულ ეზოს საზღვარს, რომ ამ დროს მივიდა მკვლელი და რევოლვერი ესროლა, სულ რამდენისამე ნაბიჯის მანძილზედ. შაჰხი მუხლის თავზედ დაეცა, წამოდგა, კიდევ განვლო რამდენიმე ნაბიჯი და კვალად დაეცა. მკვლელი შეიპყრეს. უგონოდ შექმნილი შაჰი ეტლში ჩასვეს და თეირანში გაგზავნეს, სასახლეში, სადაც ექიმებმა შეამოწმეს მისი სიკვდილი. ექიმების შემოწმებით აღმოჩნდა, რომ ტყვია გულში მოჰხვედრია.

22 აპრილი.

**პარიზი.** სამოქალაქო არჩევნების დროს პარიზში სრული მშვიდობიანობა იყო დაცული.

**ბერლინი.** ბულგარიის მთავარმა ისაუზმა სამეფო სასახლეში. ღამით წავა კობურგში.

**ათინა.** დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე წავიდა ბრინდიზში. დედოფალი და მემკვიდრე პრინცი 29 აპრილს მოსკოვში წავლენ.

**ბელგრადი.** სემინარიის მოწაფეებმა დასწვეს თავადი მიხეილის ლუსკუმის წინ ვითომდა უნგრეთის დროშა, მაგრამ უნგრეთისა არ გამოდგა, რადგან სულ სხვა ფერისა იყო; ამის შემდეგ უნდოდათ მოეხდინათ ოვაცია მეფისათვის, მაგრამ პოლიციამ არ დაანება. მთავრობამ იმ წამსვე გამოძიება დანიშნა. 5 მანიფესტანტია დატუსაღებული, რომელთაგან ერთი ბერია. ქალაქის უფროსი და ჟანდარმერიის უფროსი სამსახურიდამ დათხოვნილ იქმნენ. სემინაარიის ერთი პროფესორთაგანიც დაითხოვეს სამსახურიდამ. ავსტრ-უნგრეთის ელჩმა მიჰმართა სერბიის მთავრობას და დაეკითხა ამ საქმეების გამო მაშინ, როცა ყველა ზემოხსენებული ზომები მიღებული იყო.

**სოფია.** თავადი 25 აპრილს ჩამოვა ბელგრადში და 27 დაბრუნდება სოფიაში.

**ქაირო.** სუაკიმში მოვიდა შეიხი, რომელიც ოსმან-დიგმის ბანაკიდამ გამოქცეულა. შეიხი დარწმუნებით ამბობს, რომ მაჰდიზმი სრულიად ირღვევა, მხოლოდ ინგლისის მოქმედება აკავშირებს მაჰდის სარწმუნოების აღმიარებელთო. რომ ეს ექსპედიცია არ დაეწყო ინგლისს, ეგვიპტე უომრად დაიბრუნებდა სუდანსაო.

# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

**კბილის ექიმი**
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—109).

**ქირავდება**
ხუთი ოთახი ავჭალის ქუჩა, № 21.

**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკი.**

**ბანკის გამგეობა** ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ 1896 წლის 1-ლ ივლისიდამ თითო პროცენტის (1%) მაგიერად, რომელსაც ამ ჟამად ბანკი იღებს მსესხებელთაგან ბანკის მმართვა-გამგეობისა და სხვა ხარჯისათვის, ყოველს გასესხებულს ფულზედ აიღებს მხოლოდ სამს მეოთხედ პროცენტისას (3/4%), გარდა იმ სესხისა, რომელიც ბანკის დამფუძნებელ წევრთ აულიათ სოფლის მამულების გირაოთი. (3—6—2)



(50—505—3)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ მისის თანადასწრებით საჯარო ვაჭრობით იჯარით გაიცემა,—მონაწილეობას მიიღებენ მსურველნი ვაჭრობაში როგორც პირველად, ისე წერილობითაც: უნდა წარმოადგინონ დაბეჭდილ კონვერტებში თავიანთი განცხადებანი: 1) ქალაქ ტფილისის ქუჩებისა, მოედნებისა და ქუჩების შესახვევების ქვით მოკირწყვლა და დაღრო-ჩოღროვებულ ადგილების შესწორება, სულ 19000 მან. წელიწადში, ორის წლის ვადით. საჯარო ვაჭრობა მოხდება ქალაქის გამგეობის თანადასწრებით 25 აპრილს, დღის 12 საათზედ. მსურველთ ამ დროსთვის უნდა წარმოადგინონ 300 მან. გირაო და 2) 20 ცხენისა თავიანთის საჭირო შესაკმაზ იარაღითა, კაცებითა და ეტლებით (ამათში ერთი მეოთხედი შეიძლება 2 თვლიანი პატარა ეტლებიც იყოს), რომლებიც ქალაქის სამუშაოსათვისა და ქუჩების მოსარწყავად არიან საჭირონი; ვადა 31 დეკემბრამდე აქვთ. საჯარო ვაჭრობა ამისათვის დანიშნულია 22 ამა აპრილს, დღის 12 საათზედ. დანიშნულ დროსათვის მსურველთ 50 მან. გირაო უნდა წარმოადგინონ. დაწვრილებითი პირობები როგორც ქუჩების მოკირწყვლისა, ისე ცხენების და ეტლების შესახებ მსურველთ შეუძლიანთ ყოველ დღე ნახონ ქალაქის გამგეობის აშენებელ განყოფილების კანცელარიაში დილის 10 საათიდამ, ვიდრე ნაშუადღევის 2 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. (3—6—2).

Дозволено цензурою, Тифлисъ 22-го Апрѣля 1896 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.